ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2016 წლის 6 სექტემბერი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №37 დადგენილებით დამტკიცებულ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალურ პროგრამაში“ (www.matsne.gov.ge; 29/12/2015წ.; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016280) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პროგრამის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) კომპიუტერული ტომოგრაფია.“;

ბ) პროგრამის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

სამედიცინო მომსახურებისათვის საყოველთაო და სხვა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების მოსარგებლის გადასახდელი ნაწილი დაფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, წლიური ლიმიტი არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა (გარდა დიალიზისა, C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა, მაობლიტირებელი ენდარტერიტის (განგრენის წინა პერიოდი) მედიკამენტური მკურნალობისა და კომპიუტერული ტომოგრაფიისა).";

გ) პროგრამას დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^2 პუნქტი:

„მუხლი 6^2. ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა (კომპიუტერული ტომოგრაფია)

1. ბენეფიციარს კომპიუტერული ტომოგრაფია დაუფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა;

2. ბენეფიციარმა/წარმომადგენელმა დაფინანსების მიღების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) კლინიკური სამკურნალო დაწესებულებიდან ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა N100);

დ) კლინიკური სამკურნალო დაწესებულებიდან სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ანგარიშფაქტურა ან ინვოისი);

ე) ცნობა/მიმართვა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრიდან სამედიცინო მომსახურების დაფინანსების არარსებობის ან ნაწილობრივი დაფინანსების არსებობისა და

მისი ოდენობის შესახებ;

ვ) ცნობა პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების შესახებ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ერასტი მეტრეველი**